

შპს საფეხბურთო კლუბი ბათუმი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები	13

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმის“ მენეჯმენტს

შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა, N49, ბინა N7-7

ქ. თბილისი, საქართველო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

- ჩვენ ჩავატარეთ შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმის“ (შემდგომში “კლუბი”) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობის და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

- წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

- ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (განახლებული)-ის შესაბამისად, „გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ“. ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტებმა, რომლებიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (განახლებული)-ის შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომლებიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი მოსაზრების საფუძველი

4. ჩვენ კლუბის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2025 წლის 10 ოქტომბერს, და შესაბამისად ვერ დავაკვირდით პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2025 წლის 31 აგვისტოს და 2024 წლის 31 აგვისტოსთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეში, რაც სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია 205,663.5 ლარისა და 40,465 ლარის ღირებულებით, შესაბამისად.

პირობითი მოსაზრება

5. ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენისა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გაგრძელების და გამოყენების შეზღუდვა

6. თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გაგრძელებული ან გამოყენებული იყოს სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის“ და ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა“. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

სოფო აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-417263

23 ოქტომბერი, 2025 წელი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საბალანსო უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მამიებელი:

	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
საბალანსო უწყისი			
მიმდინარე აქტივები	200,053.89	5,233.39	1,226.79
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება			
სხვა დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები	95,830.01	205,663.50	40,465.00
მატერიალური მარაგები			
სხვა მიმდინარე აქტივები	295,883.90	210,896.89	41,691.79
მთლიანი მიმდინარე აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	665.00		
ძირითადი საშუალებები			
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები			
არამატერიალური აქტივები - სხვა			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები			
ინვესტიციები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	665.00	-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები			
	296,548.90	210,896.89	41,691.79
მთლიანი აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტები			
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	63,405.53	15,191.23	15.53
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	687.67	4,360.99	236.51
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი			
მოკლევადიანი ანარიცხები	4,614.94	550.00	3.00
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	68,708.14	20,102.22	255.04
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები			
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
სხვა საგადასახადო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ანარიცხები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები			
	68,708.14	20,102.22	255.04
სულ ვალდებულებები	227,840.76	190,794.67	41,436.75
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)			
საკუთარი კაპიტალი	100.00	100.00	100.00
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	227,740.76	190,694.67	41,336.75
გაუნაწილებელი მოგება			
სხვა რეზერვები	227,840.76	190,794.67	41,436.75
მთლიანი საკუთარი კაპიტალი			
	296,548.90	210,896.89	41,691.79
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები			
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	41,436.75	16,814.00	16,814.00
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	186,404.01	173,980.67	24,622.75
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში			
ცვლილება გადაფასების რეზერვში			
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში			





საბალანსო უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მძიებელი:

	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
საბალანსო უწყისი			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	227,840.76	190,794.67	41,436.75
შემოწმება	TRUE	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები			
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი			
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად			
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს			
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია			
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა			
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად			
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში			
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს			
ნეტო საბალანსო დირებულება			
პერიოდის დასაწყისში			
პერიოდის ბოლოს	TRUE	TRUE	TRUE
შემოწმება			

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის: 31.08.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

თარიღი: 23.10.2025



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



მოგება-ზარალის უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიგენზირება]

ლიგენზირის მამდიველი:

	მიმდინარე წელი 31.08.7	ანგარიშგების წელი 31.08.7-1	ანგარიშგების წელი 31.12.7-1 (აუდიტირ.)
მოგება-ზარალის უწყისი	0	0	0
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები			
ამონაგები ბილეთებიდან - უფასო შეჯიბრებები			
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები			
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები			
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე			
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	(428,500.00)	(135,500.00)	(325,500.00)
სულ სპონსორობა და რეკლამა	(428,500.00)	(135,500.00)	(325,500.00)
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები			
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები			
კომერციული - საქონლის გაყიდვა			
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში			
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ კომერციული	-	-	-
უფასო საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები			
უფასო საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი			
უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
სულ უფასო სოლიდარობის და საპრიზო თანხა	-	-	-
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან			
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	(795,500.00)	(162,500.00)	(165,300.00)
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან			
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან			
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი			
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი			
სულ სხვა შემოსავალი	(795,500.00)	(162,500.00)	(165,300.00)
სულ შემოსავალი	(1,224,000.00)	(298,000.00)	(490,800.00)
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	455,499.99	48,000.00	202,891.60
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	113,875.00	12,000.00	50,722.90
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	12,446.77	3,718.42	5,823.24
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	581,821.76	63,718.42	259,437.74
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	162,690.82		83,600.00
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	40,672.70		20,900.00
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი			
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	203,363.52	-	104,500.00
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი			
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	785,185.28	63,718.42	363,937.74
ძირითადი საშუალებების ცვეთა			
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)			
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება			
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	-	-	-
მატჩის დღის ხარჯები	117,392.32	12,750.00	27,719.60
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები			
კომერციული აქტივობების ხარჯები			
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	55,800.00	10,000.00	15,000.00
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები			
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	94,417.80	37,550.91	59,519.91
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	267,610.12	60,300.91	102,239.51





ლიცენზიის მადიებელი:

	0	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშების წელი 31.08.T-1	ანგარიშების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
მოგება-ზარალის უწყისი				
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	1,052,795.40	124,019.33	466,177.25	
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)				
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)				
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)				
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)				
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან				
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის შეთოდის გამოყენებით				
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან				
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან				
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან				
ფინანსური შემოსავალი				
ფინანსური ხარჯი				
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)				
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)				
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)				
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)				
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)				
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(186,404.01)	(173,980.67)	(24,622.75)	
დივიდენდები				
მოგება/ (ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(186,404.01)	(173,980.67)	(24,622.75)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის: 31.08.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

თარიღი: 23.10.2025



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]



ლიცენზიის მატებული:

	მიმდინარე წელი	ანგარიშგების წელი	ანგარიშგების წელი
	31.08.T	31.08.T-1	31.12.T-1 (აუდიტირ.)
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი			
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	1,214,000.00	290,500.00	487,483.00

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები			
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის გალკე გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან			

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე			
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები			
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები			
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები			
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც გალკე არ არის გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	1,015,173.00	(285,654.41)	(486,644.01)

სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)			
---	--	--	--

წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	198,827.00	4,845.59	838.99
--	------------	----------	--------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია			
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	18,350.61	37,472.04	37,472.04
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	198,827.00	4,845.59	838.99
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	217,177.61	42,317.63	38,311.03
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოქერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	200,053.89	5,233.39	1,226.79

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 31.08.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
თარიღი: 23.10.2025



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1. საფეხბურთო კლუბის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ბათუმი“ (შემდგომში „კლუბი“) დაფუძნდა 2020 წლის 18 ნოემბერს. კლუბის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილი ქუჩა N49, ბინა N7-7.

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბის გენერალური დირექტორია დავით დოლიძე (პ/ნ: 61006060746).

კლუბის მეწილეები არიან:

მეწილე	31-აგვ-25	31-აგვ-24	31-დეკ-24
დავით დოლიძე	100%	40%	70%
მაია გეჭაძე	0%	20%	10%
მურმან შანიძე	0%	40%	10%
ბეგლარ ახალაძე	0%	0%	10%
სულ	100%	100%	100%

კლუბს 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში ჰყავდა სფფ-ის აღმასკომის დებულებებით გათვალისწინებული თანამშრომლები და 27 პროფესიონალი ფეხბურთელი.

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა

- მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კლუბის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2025 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

ვალუტა	31-აგვ-2025	31-აგვ-2024	31-დეკ-2024
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6946	2.6911	2.8068
ლარი / 1 ევრო	3.1438	2.9809	2.9306

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

• ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

• შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან და ქველმოქმედებით მიღებული სახსრები.

დაფინანსება, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან და შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებიდან - აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში). 2025 წლის 31 აგვისტოსთვის კლუბის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შეადგენს 200,054 ლარს (2024 წლის 31 აგვისტოსთვის 5,233 ლარს, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,227 ლარს).

შენიშვნა 5. სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან

სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან შედგება ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან“ მიღებული საქონლისგან.

შენიშვნა 6. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან“ მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში, ჯამში 785,000 ლარს.

შენიშვნა 7. შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებიდან

შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან მოიცავს დირექტორისა და სვა დაკავშირებული მარისაგან მიღებულ თანხებს, ჯამში 428,500 ლარს.

შენიშვნა 8. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითადი ხელფასი და პრემია საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

შენიშვნა 9. გადასახადები, სოციალური შენატანები ფეხბურთელებსა და თანამშრომლებზე

გადასახადები, სოციალური შენატანები ფეხბურთელებსა და თანამშრომლებზე მოიცავს საშემოსავლო და საპენსიო გადასახადებს ფეხბურთელებსა და სვა თანამშრომლებზე.

შენიშვნა 10. მატჩის დღის ხარჯები

მატჩის დღის ხარჯები მოიცავს წლის განმავლობაში ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი თამაშებისთვის საჭირო ტრანსპორტირების, განთავსების, კვებისა და სხვა ხარჯებს.

შენიშვნა 11. უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონებისა და სათავსოების გადასაადები მოიცავს საიჯარო ქირას.

შენიშვნა 12. სვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს საწევრო, დისციპლინარულ, კომუნალურ, მომსახურებისა და ფეხბურთელების დაზღვევის გადასახადებს და სხვა აუცილებელ საოპერაციო ხარჯებს.

შენიშვნა 13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო საოპერაციო ხარჯი, მოიცავს უკან დაბრუნებულ სახსრებს, რომელიც წინა წელს არ იქნა გამოყენებული.

შენიშვნა 14. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

- სასამართლო დავები**

2025 წლის 31 აგვისტოს დასრულებული პერიოდისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 15. დაკავშირებული მხარეები

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 31-აგვ-2025		გადასახდელი ხელფასები
დირექტორი		4,900
სხვა დაკავშირებული მხარეები		-
სულ		4,900
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2025 წლის 31 აგვისტოსთვის		შემოწირულობა ხელფასის ხარჯი
დირექტორი	398,000	50,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	30,500	20,500
სულ	428,500	70,500
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 31-აგვ-2024		გადასახდელი ხელფასები
დირექტორი		2,352
სხვა დაკავშირებული მხარეები		-
სულ		2,352
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 აგვისტოსთვის		შემოწირულობა ხელფასის ხარჯი
დირექტორი	65,500	24,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	50,500	10,500
სულ	76,000	74,500

შენიშვნა 15. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2024		გადასახდელი ხელფასები
დირექტორი		-
სხვა დაკავშირებული მხარეები		-
სულ		-
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბრისთვის		ხელფასის ხარჯი
	შემოწირულობა	
დირექტორი	95,300	37,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	50,500	19,500
სულ	145,800	56,500

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 31 აგვისტოს შემდგომ, კლუბმა დირექტორისაგან მიიღო შემოწირულობა 40,000 ლარის ოდენობით.

კლუბმა ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-საგან მიიღო 27,000 ლარის დაფინანსება.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი
[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]



ლიცენზიის მატებული:

შპს საფეხბურთო კლუბი ბათუმი (გონიო)

მიმდინარე წელი
31.08.T

ანგარიშგების წელი
31.08.T-1

ანგარიშგების წელი
31.12.T-1 (აუდიტირ.)

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი				კომენტარი
ხარჯები				
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	2,250.00	2,250.00		
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)	-	-		
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)	-	-		
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.)	3,360.00	3,360.00		
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)	-	-		
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი	-	-		
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	-	-		
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები	-	-		
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი	-	-		
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)	-	-		
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	3,300.00	3,300.00		20000 ლარი დავალიანება სფფ (უ15, უ17 და უ19 საწევრო)
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)	-	-		
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	8,910.00	8,910.00	-	
შემოსავლები				
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.)	-	-		
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	-	-		
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	8,000.00	8,000.00		
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	-	-		
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!	-	-		
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	8,000.00	8,000.00	-	
წმინდა შედეგი	(910.00)	(910.00)	-	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: დავით დოლიძე დირექტორი

თარიღი: 23.10.2025

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს „მოორეიბისი“

უფლებამოსილი წარმომადგენელი: სოფო აბაიძე

თარიღი: 23.10.2025



- დოკუმენტის დასასრული -